# სიყვარული მაშ გაქვს ვისი?

– თუ კაცი ხარ და ვაჟკაცი,
და თუ გინდა იქართველო,
ქართლი გიყვარს ? იმერეთი?
კახეთი თუ სამეგრელო?

– სიყვარული მაშ გაქვს ვისი?
ვისთან მიხვალ სადღეგრძელოს?
მესხეთს ეტყვი თუ გურიას,
კახაბერის მიმბაძველო

აფხაზეთს თუ სვანეთს, ლეჩხუმს...
უდარაჯებ, საზღვრის მცველო,
რაჭის, ხევის თუ აჭარის
ტრფობა გულში დაიძველო?

– ამ სიყვარულს ვით გავუძლო?
ათჯერ, ასჯერ აკი გითხარ
მიყვარს, მიყვარს, იცი, მიყვარს,
შე უღმერთო, რაღათ მკითხავ ?

ჭანეთს, კლარჯეთს, ცრემლი სცვივა,
ვიცი, არ გსურს დაიცილო;
შეუმღერებ ფშავ-ხევსურეთს,
თუშეთსა და საინგილოს!

– ერთ სუნთქვას და ერთ სიცოცხლეს
ჩემი კოცნა, ყველას, ყველას
ერთგულს, ერთად მოზრიალე
საქართველოს ცისარტყელას

უიმისოდ მზეც წავიდეს,
შეჩერდეს და შეწყდეს სუნთქვაც,
ყველას, ყველას, – ერთ დიდ კერას
მე სიყვარულს გამოვუთქვამ!

სამშობლოს მზის ყოველ სხივმა
გადამისხა ცეცხლი გულში;
ერთად, ერთხმად დავიძახოთ:
გამარჯვება ჩვენს მამულში!

გაძლიერდეს დიდ ძმობაში,
რომ ვერავინ გადათელოს,
აღმდგარი და მხარგაშლილი,
მზისთანდარი საქართველო